24.

ვასილ გადილიას წიგნის მაღაზიის გამოცემა № 3.

ლიტერატურა
(ეკონომია)

ლუკმა პურის ამბავი

ანუ

ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან.

თარგმანი

კ. ნინიძისა.

ფასი 6 კაპ.

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პრ., № 65.
1906

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ გადილიას წიგნის მაღაზიის გამოცემა № 3.

ლუკმა პურის ამბავი

ანუ

ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან.

31138

თარგმანი

კ. ნინიძისა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის
სახ. ბიბლიოთეკა
Библиотека им. акад. И. Гришашвили
Академия наук Грузии

თფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის პრ., № 65.
1906

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го января, 1905 г.

ლუკმა პურის ამბავი.

ყველანი საკუთარი შრომით ცხოვრობენო, ამბობენ. მართალია ეს თუ არა?

პირველ შეხედვით ეს მართალი გეგონებათ. ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და, ასე გასინჯეთ, ღვდლებიც კი მუდამ ამას ჩაგვჩიჩინებენ. და განა ყველას არა ჰგონია, რომ მეწაღე პირდაპირ თავის მეწაღეობით ცხოვრობს, მკერავი—მკერაობით, მასწავლებელი—მასწავლებლობით, რომ ფაბრიკანტიც მუშაობს თუ ხელებით არა, ტვინით მაინც.

მაგრამ მართალია ეს, თუ არა? მართლა ყველა საკუთარი შრომით ცხოვრობს?

თქვენ გაგიკვირდებათ კიდეც, როცა მე გეტყვით, რომ არც ერთი ადამიანი თავის საკუთარი შრომით არ ცხოვრობს მეთქი და ეს ფაბრიკანტებზე და ვაჭრებზე კი არა, მთელ მუშა ხალხზედაც ითქმის.

მეწაღე რომ, მაგალითად, წაღების კერვის გარდა, თვითონ ამუშავებდეს საკუთარ მიწას, მას თვითონ რომ მოყავდეს საჭირო პური, ბოსტნეულობა, თვითონ ართავდეს, ქსოვდეს და საჭირო ტანისამოსს იმზადებდეს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც კა მისთვის საჭიროა, თვითონ აკეთებდეს თავის სახლში,—მაშინ შეგვეძლო გვეთქვა, საკუთარი შრომით ცხოვრობსო.

მართლაც, ძველ დროში, რამდენიმე ასი წლის წინ, როცა ყველა ქალაქს საკმაო მიწა ეჭირა და ხელოსნებს, როგორც ქალაქის მცხოვრებლებს, ამ მიწით სარგებლობა შეეძლოთ, ისინი ყველაფერს, რაც კი მათთვის საჭირო იყო, თვითონ აკეთებდენ, თავისი საკუთარი შრომით ცხოვრობდენ.

მაგრამ, როგორც ვიცით, ჩვენს დროში ეს ასე აღარ არის. ხელოსანს მიწა აღარ აქვს და მეწაღეს მხოლოდ წაღების კერვა შეუძლიან. წაღების ჭამა კი არ შეიძლება, ისინი ვერც ტანისამოსის მაგივრობას გასწევენ. ესევე ითქმის მკერავზე, მესტოლეზე, კალატოზზე და სხვ. მკერავი ვერ შეჭამს თავის სერთუკებს, კალატოზი პურის ნაცვლათ ქვებს ვერ შეექცევა.

ისევ გლეხზე თუ შეგვიძლია ვთქვათ—თავისი საკუთარი შრომით ცხოვრობსო. მას თვითონ მოყავს პური, უვლის შინაურ პირუტყვს და ხშირად ტანისამოსსაც იკერავს, თუმცა ამ ბოლო დროს ის უფრო ქალაქში შეკერილს ეტანება: ლამაზიც არის და უფრო მოხერხებულიც.

ზოგიერთ ქვეყნებში კი გლეხებიც აღარ ამზადებენ შინ იმას, რაც მათ ყოველდღიურ საჭიროებას შეადგენს. ერთს—მაგალითად, მარტო ღვინო მოყავს, მეორე ლერწამს სთესავს, მესამე ბოსტანს უვლის და სხვ. სამაგიეროდ საჭმელ-სასმელს და ტანისამოსს ისინი ქალაქში ყიდულობენ.

როგორც ხედავთ, არავის არ შეუძლია თქვას საკუთარი ჩემი შრომით ვცხოვრობო. მეწაღე-მკერავის, მესტოლის, კალატოზის და გლეხის შრომით ცხოვრობს; მკერავი—მეწაღის, მესტოლის, კალა-

ტოზის და სხვ. ყველა ადამიანი სხვების შრომით ცხოვრობს და საკუთრით კი არც ერთი.

მაგრამ ყველა ესენი ხომ მაინც შრომობენ, უშრომლათ მათ არაფერს მისცემენ, მეტყვით თქვენ.

ეს მართალია. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან იმის თქმა, ვითომ ყველა თავის შრომით ცხოვრობდეს, ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ყველა თავის შრომით ირჩენს თავს.

მაგრამ განა სულ ერთი არ არის თავის შრომით ცხოვრება და საკუთარი შრომით თავის რჩენა?

არ არის სულ ერთი და აი რატომ. რომ მეწაღე, მკერავი, მიწის მუშა და სხვები მართლა თავისი საკუთარი შრომით ცხოვრობდენ, ესენი რომ ყველაფერს, რაც მათთვის საჭიროა, საკუთარ სახლში ამზადებდენ, როგორც ეს ძველ დროში იყო, მაშინ მათ სიმშილით სიკვდილის შიში აღარ ექნებოდათ. ახლა კი მეწაღე მხოლოდ წაღებს კერავს, ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი დაამზადოს, და შემდეგ გაყიდოს, როგორც რომელიმე სხვა საქონელი. თუ მუშტარი გამოჩნდა, ხომ კარგი, მეწაღე მიჰყიდის მას წაღებს და მიღებული ფულით იყიდის, რაც კი მისთვის საჭიროა.

მაგრამ თუ მუშტარი ვერ იშოვნა? მაშინ რაღა უნდა ქნას?

მაშინ მშიერ ბავშვებს პურის მაგიერ წაღებს ხომ ვერ გადაუდებს? სახელმწიფო გადასახადს წაღებით ვერ გაისტუმრებს, მევახშე ფულის მაგიერ წაღებს არ აიღებს.

ახლა თქვენ ხედავთ, რომ საკუთარი შრომით ცხოვრება და თავის რჩენა ერთი და იგივე არ ყოფილა.

სანამ ადამიანები ყველაფერს, რაც კი მათთვის საჭირო იყო, თვითონ ამზადებდენ, სანამ ისინი იშვიათად ჰყიდდენ თავის სიქონელს, მანამდის შეიძლებოდა გვეთქვა, ისინი საკუთარი შრომით ცხოვრობენო; მაგრამ მას შემდეგ, რაც გასაყიდათ დაიწყეს წაღების, ტანისამოსის, სტოლის და სხვა საგნების კეთება, ცოტას აკეთებენ თავისთვის და ბევრს სხვისთვის. ახლა ვარშაველი მეწაღე რუსი ხელოსანისთვის კერავს წაღებს, რუსი ფეიქარი ვარშაველი მეწაღესთვის შრომობს, ამერიკის ახალშენის მკვიდრს ინგლისელი მუშებისათვის მოჰყავს პური, ინგლისელი მუშები კი ვარშაველ მუშებს რკინის და ფოლადის იარაღებს უმზადებენ. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც გასაყიდათ, გასაცვლელათ იწყეს წარმოება, არავინ საკუთარი შრომით აღარ ცხოვრობს.

II

კარგი. მაშ არავინ თავის შრომით არ ცხოვრობს, თავისი შრომით მხოლოდ თავს ირჩენენ; ეს მაინც უტყუარი ჭეშმარიტება იქნება.

მაგრამ არც ეს არის მთლად მართალი. ამის შესახებ ბევრი რამ შეგვეძლო გვეთქვა, მაგრამ ჯერ წარმოვიდგინოთ, ვითომ ყველანი საკუთარი შრომით ირჩენენ თავს.

მაგრამ რატომ უსათუოთ შრომით? იმიტომ, რომ როცა ვინმე ყიდის რამეს, წაღები იქნება ეს თუ ტანისამოსი, ჭურჭელი თუ დანები, მის საქონელს შრომის რაოდენობით აფასებენ და ფასსაც შრომის დაგვარად აძლევენ. ავხსნათ ეს უფრო ნათლად. ვთქვათ, მეწაღემ მთელი დღე მოანდომა

წაღების შეკერვას. და ეს წაღები ათ არშინ ტილოზე გასცვალა.

გაუგებარი აქ არაფერია: იშრომა და სამაგიეროდ ტილო იშოვნა. მაგრამ წარმოიდგინეთ ერთი წუთით ისეთი ბედნიერი ქვეყანა, სადაც წაღები ზეციდან ცვივა. ასეთი ქვეყანა არ არსებობს, მაგრამ რომ არსებობდეს, როგორ გგონიათ, მაშინ მეწაღე ბევრს აიღებდა თავის წაღებში? რასაკვირველია, ვერაფერს. მაშინ იტყოდენ, რომ წაღებში ფულის მიცემა არ ღირს, რადგან მის გასაკეთებლად შრომა არ არის დახარჯული და მისი შეძენა ისედაც ყველას შეუძლია; ჩვენი მეწაღე სიმშილით მოკედებოდა ასეთ ქვეყანაში, თუ სხვა რომელიმე საქმეს არ მოკიდებდა ხელს. თუმცა ჩვენში ხეები წაღებს არ ისხამენ, მაგრამ ბევრი ისეთი საგნები ვიცით, რომელნიც არავითარ ღირებულებას არ შეიცავენ, მათში კაპეიკსაც არავინ გამოიღებს, რადგან მათ გაკეთებაზე თავი არავის შეუწუხებია. წყალს წყაროზე და ქვიშას მდინარეში ღირებულება არა აქვს, რადგან მის გასაკეთებლად შრომა არ არის საჭირო, რადგან ის ადამიანის დაუხმარებლათ გაჩნდა.

მაგრამ სამაგიეროდ, რაც მეტი შრომაა დახარჯული ამა თუ იმ ნივთზე, მით მეტ ღირებულებას შეიცავს ის, მით მეტ ფასში გაიყიდება. ერთ არშინ ტილოში უფრო მეტს მოგცემენ, ვინემ ერთ არშინ კალენკორში. რატომ? იმიტომ რომ ერთი არშინი კალენკორის მომზადება უფრო ადვილად და ჩქარა შეიძლება, ის უფრო ნაკლებ შრომას თხოულობს, ვინემ ერთი არშინი ტილო. ოქროს ძეკვი ფოლადზე უფრო ძვირია. რატომ?

იმიტომ ხომ არა, რომ ოქრო ბრჭყვიალებს, ან ის უფრო მძიმეა? არა, შეიძლება, ფოლადის ძეწკვიც ისე ბრწყინავდეს, როგორც ოქროსი და სიმძიმითაც არ იყოს ნაკლები, მაგრამ ოქროს შოვნა ძნელია: საჭიროა დიდი შრომა, რომ ის მიწიდან ამოიღონ, ოქროს ძეწკვზე მეტი შრომაა დახარჯული, ვინემ ფოლადისაზე.

ამიტომ როცა მეწაღე წაღას ყიდის, მკერავი-სერთუკს და მეპურე პურს ისინი ნამდვილად ყიდიან იმ შრომას, რომელიც მათ დაუხარჯნიათ. ერთი ბულკის გამოცხობას თუ საათის მუშაობა სჭირია, წყვილი წაღების შეკერვას კი ათი საათი, მაშინ ერთ წყვილ წაღებში ათ ბულკს მისცემენ, რადგანაც წაღებზე ათჯერ მეტი შრომაა დახარჯული (წაღების ღირებულება) ვინემ ბულკზე (ბულკის ღირებულება).

თუ ერთ არშინ ტილოში ვერცხლის მანეთიანს თხოულობენ, ეს იმიტომ, რომ ტილოს გაკეთებას (ცხვრების მოვლას, მატყლის გაკრეჭას და ტილოს შეღებვას) იმდენი შრომა სჭირდება, რამდენიც ვერცხლის მანეთის შოვნას (ვერცხლის მოძებნა, მოტანა, გადადუღება)—ვთქვათ ათი საათი. ერთ არშინ კალენკორში მხოლოდ უზალთუნს ვაძლევთ, რადგან მის მომზადებას (ბამბის დათესვას, მოქსოვას, შეღებვას) ათი საათის ნაცვლად, ერთი საათის შრომა სჭირდება.

აი რატომ შეიძლება იმის თქმა, რომ მეწაღე, მკერავი, მესტოლე და საზოგადოთ ყველა მშრომელი თავისი შრომით ინახავს თავს. ყველა ისინი სხვა და სხვა საგნებს ამზადებენ; ეს საგნები ბაზარზე გამოაქვთ გასაყიდათ და სწორედ იმდენ ფულს

თხოულობენ, რამდენიც შრომა აქვთ დახარჯული.

ერთი სიტყვით, რაც მეტს მუშაობს რომელიმე ხელოსანი, რაც მეტ შრომას ანდომებს თავის ნაწარმოებს, მით მეტ ღირებულებას ქმნის ის თავისი შრომით, მით მეტ ფასში გაყიდის, მით მეტს მისცემენ მას საქონელში.

ესეც თქვენი სიმართლე, მეტყვიან ზოგიერთები თქვენ დაგვპირდი ისეთ რამეს, რასაც ფაბრიკანტები და ხაზეინები გვიმალვენ და ნამდვილად იმასვე იმეორებთ, რასაც ისინი ამბობენ: ვინც მეტს მუშაობს ის მეტსაც მიიღებსო. მაგრამ ნუ აჩქარდებით, ჯერ მომისმინეთ და თუ ღირსი ვიყო, მერე დამძრახეთ. ზევით მე ვთქვი, რომ რაც მეტ შრომას ხარჯავს ხელოსანი, მით მეტ ფასს აიღებს თავის ნაწარმოებში მეთქი. მეწაღე კარგათ შეკერილ, მაღალ ქუსლებიან წაღებში მეტს აიღებს, ვინემ უხეირო წაღებში. ეს ყველაფერი აგრეა, მაგრამ ჩვენმა მეწაღემ რომ წაღები შეკეროს, ამისთვის საჭიროა ტყავი, იარაღი და სახელესნო; ყველა ამას კი ფული უნდა. ზეინკალმაც, თუ სურს რომ გასაღებები გააკეთოს, უნდა დაიქირავოს სახელოსნო, შეიძინოს იარაღები და სანამ გასაღებებს გაასაღებდეს ცხოვრებას სახსარიც უნდა იქონიოს. ამისთვისაც ისევ ფული საჭიროა. ვისაც ფული აქვს, მას რა უჭირს, ააგებს სახელოსნოს, დაამზადებს საქონელს და შემდეგ გაყიდის იმის და გვარად, რამდენიც შრომა აქვს დახარჯული. მაგრამ რა ქნას იმან, ვისაც ფული არა აქვს, ვისაც არ შეუძლიან სახელოსნოს აშენება და საქონლის მომზადება, რადგან საჭიროა იარაღები და მასალა მას არ მოეპოვება? რა ქნას იმ კაცმა, რომელიც-როგორც ეს ხშირად ხდება არ-

საიდან შველას არ ელის და ცხოვრება-სმა-ჭამა და ჩაცმა-დახურვა კი უნდა?

ჩვენ მშრომელს არც ფული და არც საქონელი არა აქვს, ამიტომ, სიმშილით რომ სული არ ამოხდეს, მან უნდა გაყიდოს თავისი თავი, უნდა იმუშაოს ქირაზე და თავისუფლება დაკარგოს.

როგორ თუ თავისი თავი უნდა გაყიდოს, თავისუფლება დაკარგოს? ფაბრიკაში მუშაობა ხომ მონობა არ არის! როგორც ხელოსანი ისე ფაბრიკის მუშა, თავისუფალი ადამიანია, მუშაობს რამდენიც უნდა, არავის არ შეუძლია ის თავის ნებაზე ატაროსო, მეტყვიან.

არ შეგვიძლია თავისუფალი ვუწოდოთ იმ ადამიანს, რომელიც თავის შრომას ყიდის; მას უსათუოდ ბატონი უნდა ყავდეს და ასეთი ბატონი კიდეცა ყავს. თავისუფალია მხოლოდ ის, ვინც იძულებულია არ არის თავისი თავი გაყიდოს. ასეთი თავისუფლების მიღება ჩვენში ერთობ ძნელია. მუშა იძულებულია ფაბრიკას მიაშუროს, რადგან მას არ მოეპოვება საკუთარი მასალა და იარაღები, ის ემორჩილება ფბარიკანტს, რადგან მას სხვა გზა არა აქვს, რადგან ფაბრიკანტს მუშის წინააღმდეგ ძლიერი იარაღი აქვს—ეს არის სიმშილი, რომელიც მას სამუშაოს დაკარგვისგან მოელის.

III

თავისუფალი იქნება ადამიანი თუ მონა-ეს სულ ერთიაო, მეტყვით თქვენ. საქმე ის კი არ არის ვინ თავისუფალია და ვინ მონა,-თავი და თავი ის არის, მართლა შეუძლია ადამიანს საკუთარი შრომით გამდიდრდეს თუ არაო.

მე ისევ გთხოვთ თქვენ დამაცადოთ, ნუ ჩქარობთ, ამის შესახებაც გვექნება ლაპარაკი; საჭიროა ყველაფერი გავითვალისწინოთ.

ყველა მუშა-მესტოლე, მკერავი ან მეწაღე— ყველა თავის თავის გაყიდვას ცდილობს, თუ მას არა აქვს არც ფული და იარაღი და არც მასალა. ადრე თუ გვიან ის უსათუოდ იპოვის ფაბრიკანტს ან ხელოსანს, რომელიც მას იყიდის.

რისთვის ყიდულობენ მას? იმისთვის ხომ არა, რომ ებრალებათ და სურთ დახმარება აღმოუჩინონ? არა. ყიდულობენ იმისთვის, რომ მას შეუძლია ჩაქუჩი სცემოს, წაღები შეკეროს, ერთი სიტყვით, მას შეუძლია იმუშავოს.

როცა მას ყიდულობს ფაბრიკანტი ან ხელოსანი, ყურადღებას მხოლოდ მის ძალას და საქმის ცოდნას აქცევს, მას რომ ეს ძალა არ ქონდეს, ფიბრიკანტი მას ზედაც არ შეხედავს. მას მხოლოდ სამუშაო ძალა ესაჭიროება. უმთავრესი საკითხი მისთვის ის არის, რამდენი უნდა მისცეს ამ ძალაში; ეს აქვს მას გადასაწყვეტი. ძნელი გასაგები არ არის, რამდენი ღირს სტაქანი, კალათი, წყვილი წაღები და სხვ. ეს დამოკიდებულია იმ დროს რაოდენობაზე რომელიც ამ საგნების გაკეთებას მოანდომეს. ვთქვათ ერთი სტაქნის გაკეთებას ნახევარი საათის შრომა სჭირდება, წყვილი წაღების შეკერვის—20 საათის თეფშის-ერთი საათი, ვთქვათ ერთი საათის შრომაში ორ შაურს იძლევიან (რადგან ვერცხლის ორ შაურიანის გაკეთებასაც ერთი საათის შრომა სჭირდება). ძნელი არ არის გავიგოთ, თუ რამდენი ღირს ერთი სტაქანი. თუ მის გაკეთებას ნახევარი საათი მოანდომეს, მაშ ისიც ნახევარ უზანთულად ეღირება—

ე. ი. შაურად. თუ წყვილ წაღების კერვას 20 საათი მოანდომეს, იმისი ღირებულებაც ოცი უზანთული იქნება ე. ი. ორი მანეთი; თუ თეფშის გასაკეთებლად ერთი საათის შრომაა საჭირო, მაშინ ის ორ შაურად ეღირება.

მაგრამ როგორ გავიგოთ, რა ღირს ადამიანი, რამდენი უნდა მივცეთ მის სამუშაო ძალაში?

ვთქვათ მუშა ე. ი. მისი სამუშაო ძალა, ერთი დღით იყიდეს. წარმოვიდგინოთ შემდეგ, რომ მუშას დღეში სამი აბაზი სჭირდებ, (სასმელ-საჭმელზე, ბინაში, ტანისამოსში), რომ იცხოვროს და მუშაობის განგრძობა შეიძლოს, ე. ი. დახარჯული ძალა აღადგინოს. ამ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამუშაო ძალა სამ აბაზათ ან ექვსი საათის შრომათ ღირს *) (თუ უზალთუნს იგივე ღირებულება ექნება, რაც ერთი საათის შრომას),

ფაბრიკანტმა კარგათ იცის, რომ სამუშაო ძალა ექვსი საათის შრომად ღირს, ე. ი. იმდენად, რამდენადაც ექვსი თეფში ან თორმეტი სტაქანი, და ამიტომ მუშას მისი ძალის ღირსებულებას აძლევს, ე. ი. სამ აბაზს. ერთი სიტყვით, მუშა იმდენს ღებულობს თავის სამუშაო ძალაში, რამდენიც მისი არსებობისთვის არის საჭირო.

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ კითხვას: რისთვის ყიდულობს ფაბრიკანტი სამუშაო ძალას? რად ჰყიდის მას მუშა-ეს თავის თავათ ცხადია: მას ძალას ატანს სიმშილი, რომელიც გაცილებით უფრო

---

*) უნდა გვახსოვდეს, რომ სამუშაო ძალის ღირებულება იმდენი საათის შრომას უდრის, რამდენიც მუშის ცხოვრების განსაგრძობათ არის საჭირო.

ძლიერი გრძნობაა, ვინემ თავისუფლება და სირცხვილი.

მაშ ფაბრიკანტი რიღასთვის ყიდულობს სამუშაო ძალას? იმისთვის, რომ მოიგოს, გამდიდრდეს. ავხსნათ ეს მაგალითით. ვთქვათ, ვინმემ ბამბეულობის ფაბრიკა გახსნა. ვთქვათ იყიდეს ათას ოთხასი მანეთის ბამბა, ოთხმოცი მანეთის მანქანები, განათებას და სხვა წვრიმალ ხარჯებს 24 მანეთი მოუნდა და შეუდგენ საქმეს. როგორ გგონიათ, რატომ გახსნა ფაბრიკა ფაბრიკანტმა? ცხადია, იმიტომ, რომ სურს ნაქსოვში მეტი აიღოს, ვინემ თვითონ დაეხარჯა ბამბაზე, მანქანებზე და სხვ. ცხადია, როცა ის ბამბიდან ქსოვილს მიიღებს, ათას ხუთას ოთხ მანეთს როდი დასჯერდება, ის, მაგალითად, ორ ათას მანეთს მოითხოვს *).

მაგრამ სურვილი კიდევ არ არის საკმაო, საჭიროა, რომ ეს ორი ათასი ნამდვილად მიიღოს, მაგრამ მიიღებს თუ არა ეს სხვა კითხვაა. რაიმე საასწაულის ძალით რომ მანქანამ მუშის დაუხმარებლათ შეიძლოს ძაფის დართვა და ფაბრიკანტმა ვაჭარს ორი ათასი მანეთი მოსთხოვოს, ვაჭარი აი რას ეტყვის მას: შენი ძაფი შეიცავს ბამბის ღირებულებას —ე. ი. 1400 მან., მანქანებისას—80 მ. და წვრილი მასალებისას—24 მან.—სულ ეს შეადგენს ათას ხუთას ოთხ მანეთს; არც მეტს, არც ნაკლებს და მეც ერთ გროშსაც არ მოგიმატებ.

არ ვიცით, მოეწონება თუ არა ფაბრიკანტს

---

*) 1504 მან. საზოგადო ჯამია ნახარჯის,—ჩვენ მაგალითში 1400 მან. ღირს ბამბა. 80 მან. მანქანები და 24 მ. წვრილი მასალები—სულ 1504 მან.

ეს პასუხი. ვიცით მხოლოდ, რომ მანქანებს თავისით მუშაობა არ შეუძლიათ და ფაბრიკანტების საბედნიეროთ მანქანას მუშები უნდა უდგეს გვერდში. ფაბრიკანტმა ეს იცის და ამიტომ ის ქირაობს, მაგალ., 100 მუშას და თვითეულს სამუშაო ძალაში, როგორც საქონელში დღიურათ სამ აბაზს აძლევს.

მუშა, რომელიც დღეში სამ აბაზად არის დაქირავებული, კურკას აცლის ბამბას, ართავს ძაფს და სხვა. ერთი სიტყვით მუშაობს, ბამბას თავის შრომას უერთებს.

პირველი საათის შემდეგ ის მიუმატებს მხოლოდ ერთი საათის შრომას, ე. ი. მის ღირებულებას ათი კაპეიკით გაადიდებს (თუ საათის შრომა 10 კაპეიკად ღირს), ორი საათის შემდეგ მიუმატებს ორი საათის შრომას, ე. ი. მის ღირებულებას გაადიდებს 20 კაპეიკით.., ექვსი საათის შემდეგ ის მიუმატებს ექვსი საათის შრომას, ე. ი. მის ღირებულებას 60 კაპეიკს მიუმატებს, სწორედ იმდენს, რამდენიც ფაბრიკანტმა მის სამუშაო ძალაში გამოიღო. ამნაირად ექვსი საათის შრომის შემდეგ მუშამ უკვე შექმნა იმდენი, რამდენიც ხაზეინისაგან მიიღო. ასე მუშაობს ის მთელი კვირის განმავლობაში, რის შემდეგაც ფაბრიკანტი აგროვებს ძაფს და ბაზარზე მიაქვს გასასყიდათ; მას სურს ისევ ორი ათასი მანეთი აიღოს.

— რამდენს თხოულობ ძაფში?—ორ ათას მანეთს.

— ეს ძლიერ ბევრია, ეუბნება ვაჭარი, ნუ თუ გგონია, რომ შენი საქონელი ორი ათასი მანეთის ღირებულებას შეიცავს? აბა რას ამბობ! მოდი ერთად ვიანგარიშოთ. ძაფში ურევია ბამბის ღირებუ-

ლება ათას ოთხასი მანეთის, მანქანის ოთხმოცი მანეთის, წვრილი მასალების—ოცდა ოთხი მანეთის და სამუშაო ძალისაც სამას სამოცი მანეთის (თუ ერთი კეირის განმავლობაში მუშაობდა ასი კაცი 6 დღეს, დღეში ექვს საათს და სამი საათის შრომაში ათ კაპეიკს იღებდა—6×6.100.100=360 მ.), მთლად ძაფში ათას რვაას სამოც და ოთხი მანეთის ღირებულებაა მოთავსებული. მაშ, ათას რვაას სამოცდა ოთხ მანეთს მოგცემ, მეტი არ შემიძლია.

— ეს როგორ იქნება! მაშ მე არაფერი არ უნდა მოვიგო? ამდენი ხომ კიდეც დავხარჯე. მოსაგები სადღაა? რა თავში ვიხალო ცარიელი ფაბრიკები, თუ მოსაგები არსად იქნება, წუწუნებს ფაბრიკანტი.

მართლაც, რა უნდა მოიგოს ფაბრიკანტმა, თუ მუშა ზედ-მეტი ექვსი საათის განმავლობაში არ ამუშავა?

— ეს რასა ჰგავს, ეტყვიან მუშები, ჩვენ ხომ ვიმუშავეთ ექვსი საათი და შენი ქირის სამაგიერო ღირებულება ჩაგაბარეთ, უკვე დავუმატეთ ბამბას იმდენი ღირებულება, რამდენადაც შენ ჩვენი სამუშაო ძალა იყიდე.

— ტყუილია, უპასუხებს ფაბრიკანტი. მე თქვენი სამუშაო ძალა მთელი დღით ვიყიდე, მე ნება მაქვს, მთელი დღე გამუშაოთ.

მუშები რჩებიან, მეტი რა გზა აქვთ. თუმცა ექვსი საათის განმავლობაში უკვე შექმნეს თავის სამუშაო ძალის ღირებულება, მაგრამ სამართალი სად არის! მათ მეორე ექვსი საათი ხაზეინის სასარგებლოთ უნდა იმუშაონ.

ფაბრიკანტი მათ ახალ მასალას ურიგებს და

საქმე იჩარხება. თითო საათის შრომის შემდეგ მუშა უმატებს ბამბას ერთი საათის ღირებულებას, ექვსი საათის შემდეგ—ექვსი საათის ღირებულებას. ცხადია, ეს ახალი ღირებულება ფაბრიკანტს მუქთად უვარდება ხელში, ამაში მას ფული არ დაუხარჯავს. ერთი მუშა ექვსი საათის შრომით 60 კაპ. ღირებულებას შექმნის (თუ საათის შრომა ორი შაური ღირს), ასი მუშა ასჯერ მეტს, ე. ი. 60 მანეთის ღირებულებას შექმნის, ერთ კვირაში კი ყველანი სამას სამოცი მანეთის ღირებულებას შექმნიან.

თუ ჩვენი ფაბრიკანტი მოისურვებს ძაფის იმ ნაწილის გაყიდვას, რომელიც დანარჩენი ექვსი საათის შრომის დროს არის შექმნილი, მაშინ აი რას მიიღებს: ისევ ათას რვაას სამოცდა ოთხ მანეთს, რადგან ძაფში მოთავსებულია ბამბის ღირებულება ათას ოთხასი მანეთის, მანქანების—ოთხმოცი მანეთის, წვრილი ხარჯების—ოცდაოთხი მანეთის, და სულ სამას სამოცი საათის შრომა, რომელიც ფაბრიკანტმა მუქთათ ჩაიგდო ხელში. ახლა ის სიამოვნებით გაყიდის ათას რვაას სამოცდა ოთხ მანეთათ, რადგან მას ათას ხუთას ოთხი მანეთის მეტი არ დაუხარჯნია. ახლა კი ნათლათ სჩანს, რომ წარმოებამ ხაზეინს სარგებელი მოუტანა. აბა ვიანგარიშოთ. ჩვენმა ფაბრიკანტმა ორჯერ დაურიგა მუშებს 1400 მანეთის ბამბა, ეს შეადგენს 2800 მანეთს, ორჯერ გაცვდა 80 მანეთის მანქანა—ეს შეადგენს 160 მან., წვრილი ხარჯები ორჯერ 24 მან, ეს შეადგენს 48 მან. და მუშების ქირაც 360 მანეთი, სულ შედგა სამი ათას სამას სამოცდა რვა მან. ფაბრიკანტი ძაფის პირველ ნახევარშიც და მეორეშიც 1864 მანეთს მიიღებს, მთელ ნაწარმოებში 3728 მ,

მაგრამ დახარჯა პირველათ 1864 მან., მეორეთ 1504 მან., სულ 3368, აიღო 3728 მანეთი, ე. ი. 360 მანეთი მოიგო.

საიდან გამოტყვრა ეს ამოდენა მოსაგები? ცხადია, იქიდან, რომ სამუშაო დღის მეორე ნახევარში ფაბრიკანტს არაფერი გადაუხდია, ამ დროს განმავლობაში მუშებმა მუქთათ იმუშავეს და ხაზეინს ზედმეტი ღირებულება ჩააბარეს, ან, როგორც ამბობენ, ზედმეტი იმუშავეს *).

ახლა კი ვიცით, რისთვის ქირაობს ფაბრიკანტი მუშებს. იმისთვის, რომ მათ შრომას სარგებელი გამოაღებინოს, იმისთვის, რომ ზედმეტი ღირებულება მიიღოს. ფაბრიკანტის სიმდიდრე—ეს მის მიერ დასაკუთრებული მუშის შრომაა.

მუშები ნახევარ დღეს ხაზეინისთვის მუშაობენ, ნახევარს თავისთვის, ე. ი. თავის სიცოცხლის ნახევარს ხაზეინების გამდიდრებას ანდომებენ.

რაც ჩვენ ერთ ფაბრიკანტზე ვთქვით, ის მთელი ქვეყნის ფაბრიკანტებზე ითქმის. ყველა ესენი იმისთვის ქირაობენ მუშებს, იმისთვის ყიდულობენ მათ სამუშაო ძალას, რომ გამდიდრდენ, მუშები საჭიროზე მეტი ამუშავონ და ეს ზედმეტი შრომა თვითონ მიითვისონ.

IV

თქვენ, რასაკვირველია, თანახმა ხართ იმისი, რაც მე გიამბეთ. ერთ რამეში შეგეძლოთ ეჭვი შეგეტანათ,—რომ ბამბეულობის ფაბრიკის ამბავი სი-

*) მაშ რას ქვია ზედმეტი ღირებულება? ეს ისეთი ღირებულებაა, რომელსაც მუშები მუქთად უმატებენ ნაწარმოებს.

მართლეს არა გავს. სად და ვის გაუგონია, რომ მანქანები მხოლოდ ოთხმოც მანეთათ ღირებულიყოს და ბამბაც მხოლოდ ათას ოთხასი მანეთისა ეყიდნათ? სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ამ მაგალითში მოყვანილი ციფრები იმისთვის ამოვარჩიეთ, რომ ნათლათ გამოგვერკვია, თუ რა არის ზედმეტი ღირებულება. ახლა მე პირდაპირ ცხოვრებიდან მოვიყვან მაგალითს, რომელიც სინამდვილესთან ისე ახლოს იქნება, რომ მის უარის ყოფას ვერავინ შეიძლებს.

ინგლისში, როგორც ყველამ იცის, დიდძალ ბამბას ამზადებენ *). დიდი ხანია, რაც იქ უზარმაზარი ორთქლის ფაბრიკები არსებობს, დიდი ხანია იქაურმა მუშებმა თავისთვის მუშაობა მიატოვეს და იძულებულნი გახდენ თავისი შრომა გაყიდონ, ხაზეინებს მიექირავონ, დიდი ხანია ისინი სიმშილს და სხვა მრავალ გაჭირვებას ითმენენ. სამაგიეროთ ფაბრიკანტები სუქდებიან და მდიდრდებიან. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ერთს ასეთ ფაბრიკანტთაგანს ფაბრიკის შენახვა და საზოგადოდ საქმის წარმოება 134 ათას ორას ორმოცდა ათი მანეთი დაუჯდა ერთი წლის განმავლობაში, წლის გასულს ის ყიდის თავის ძაფს და 159 ათას მანეთს ღებულობს. მაშ მისი მოსაგები უდრის 24 ათას შვიდას ორმოცდა ათ მანეთს. (159000—134250=24750), ე. ი. 18% პროცენტს. თქვენ იცით, რასაკვირველია, რომ ეს არც ისე დიდი მოსაგებია, რადგანაც ჩვენშიც არიან ქარხნები, მაგალ., შაქრის, რომელნიც 40, 50

*) 1837 წ. ინგლისში დაამუშავეს ათას-ორას-სამოცდა-ოთხი მილიონი გირ. ბამბა ოცდა ცამეტ მილიონ ნახევარი თითისტარის შემწეობით.

და ხან მეტ პროცენტს იძლევიან. ვნახოთ, საიდან ღებულობს მექარხნე ამდენ მოსაგებს. სიადვილისათვის გამოვიანგარიშოთ, რამდენი ეხარჯება მას კვირაში. მის ფაბრიკაში 10 ათასი თითისტარია, რომელნიც ორთქლის შემწეობით მოძრაობენ. ერთი თითისტარი (რასაკვირველია, მუშის დახმარებით) კვირაში გირვანქა ძაფს იძლევა. ათი ათასი თითისტარი ათი ათას გირვანქას მოგვცემს. მაგრამ ათი ათასი გირვანქა ძაფის მოსამზადებლად ათი ათასი გირვანქა ბამბა როდი კმარა, რადგან ბამბის ერთი ნაწილი მუშაობის დროს იკარგება. ჩვენ მაგალითში მოყვანილ ფაბრიკაში ათი ათას ექვსასი გირვანქაა საჭირო, ასე რომ ექვსასი გირვანქა უსარგებლოდ იკარგება. 1871 წელს ინგლისში გირვანქა ბამბის ფასი იყო $19^1/_2$ კაპეიკი, ასე რომ ათი ათას ექვსას გირვანქას ათი ათას ექვსასჯერ მეტი მოუნდებოდა, ე. ი. ორი ათას სამოცდა შვიდი მანეთი. ბამბა რომ ძაფად იქცეს, ამისთვის მუშის შრომა, მანქანები და მასალებია საჭირო. მანქანები, ე. ი. თითისტრები ორთქლის მანქანასთან ერთად ღირს სამოცი ათასი (60 ათასი) მანეთი. მაგრამ მანქანა ერთბაშად როდი ცვდება, ის რამდენიმე წელიწადს გამოდგება, მაგალ., ათს წელიწადს, ამიტომ მანქანებზე წლიურად დაიხარჯება სამოცი ათასი მანეთი კი არა, ათჯერ ნაკლები, ე. ი. ექვსი ათასი მანეთი, კვირაში კი (თუ წელიწადში 50 კვირას ვიანგარიშებთ) ორმოცდა ათჯერ ნაკლები, ე. ი. ას ოცი მანეთი (120 მ.). გარდა ამისა საჭიროა ქვანახშირი (ქვაბების გასაცხელებლათ), ზეთი (ბორბლებზე წასასობათ), გაზი (ფაბრიკის გასანათებლათ) და სხვ. ქვანახშირზე იხარჯება კვირაში 24 მან. და 60 კაპ.

გაზი—ექვსი მანეთის, ფაბრიკის შენობის ქირას იხ-
დის კვირაში 36 მანეთს (წელიწადში გამოდის ათას
რვაასი მანეთი). ერთი კვირის განმავლობაში და-
ხარჯავს სულ ორი ათას ორას ოთხმოცდა ოთხ მა-
ნეთს და ნახევარს. მაგრამ ყველა აქ ჩამოთვლილ
მასალებისგან რა გამოვა, თუ მუშის ხელი არ ჩაე-
რია. ამიტომ ფაბრიკანტი იძულებულია დაიქირაოს
ას ოცდა თხუთმეტი მუშა (თითო მუშა სამოცდა
თოთხმეტ თითისტარს უვლის) და აძლიოს იმდენი,
რამდენიც მათი სამუშაო ძალის აღსადგენადაა სა-
ჭირო, ე. ი. მუშების შესანახად (სასმელ-საჭმელი,
ბინა, ტანისამოსი). ვთქვათ, თითო მუშას მოუნდე-
ბა კვირაში ორი მანეთი და ხუთი შაური. ყველა
მუშებს კვირაში სამას სამი მანეთი და თხუთმეტი
შაური მოუნდებათ. მუშები რომ მხოლოდ თავის-
თვის მუშაობდენ, ე. ი. რომ ისინი იმდენს მუშა-
ობდენ ფაბრიკანტის სასარგებლოთ, რამდენიც თვი-
თონ სამუშაო ქირის სახით აქვთ მიღებული, მა-
შინ ადვილი გამოსაანგარიშებელი იქნებოდა მათ მი-
ერ დამზადებული ათი ათასი გირვანქა ძაფის ღი-
რებულება. მაშინ ამ ძაფის ღირებულებაში შევი-
დოდა: 1, ბამბის ღირებულება 2067 მან., 2, მან-
ქანების—120 მან; 3, ქვანახშირის—24 მ. 60 კაპ.
4, ზეთის—24 მ. 60 კაპ.; 5, გაზის—6 მან.: 6,
ბინის—36 მან., 7, მუშების ქირა 303 მან. 75 კ.
—სულ ორი ათას ხუთას ოთხმოცდა ერთი მან.
და 75 კაპ.; ერთი გირვანქა ეღირებოდა ათი ათას-
ჯერ ნაკლები, ე. ი. დაახლოვებით 26 კაპეიკი. ფა-
ბრიკანტი კი 26 კაპეიკის ნაცვლად $31^5/_8$ კაპეიკს
მიიღებს, ათი ათას გირვანქაში—სამი ათას ას სა-
მოცდა ორ მანეთს და ნახევარს, ე. ი. ხუთას სა-

მოცდა თხუთმეტი მანეთით მეტს ჩვენ ანგარიშთან შედარებით. თუ ჩვენმა ფაბრიკანტმა ხუთას სამოცდა თხუთმეტი მანეთით მეტი აიღო, ეს იმიტომ, რომ მის ნაწარმოებში ახალი ღირებულებაა ჩაქსოვილი, რომელიც მუშებმა მუქთად დაუთმეს, ფაბრიკანტს ამაში ფული არ მიუცია. ამნაირათ ჩვენ ვხედავთ, რომ ფაბრიკანტის მოსაგები მუშის მუქთი შრომის, ზედმეტი ღირებულების ნაყოფია. მუშებმა სამას სამი მანეთი და თხუთმეტი შაური მიიღეს ხაზეინისაგან ერთი კვირის განმავლობაში და სამაგიეროთ ამ ფულს გარდა ხუთას სამოცდა ხუთმეტი მანეთი ახალი ღირებულება შესძინეს. თითო მუშა იღებს დღეში $37^1/_2$ კაპ. და ქმნის ხაზეინის სასარგებლოთ არა მარტო ამ $37^1/_2$ კაპეიკის საღირალს, არამედ $58^1/_2$ კაპეიკს ახალს, ზედმეტ ღირებულებას. ამ რიგად მუქთი, უფასო შრომა ერთ ნახევარჯერ მეტია, ვინემ ის შრომა, რომელშიც ფულია მიღებული. მუშა ფაბრიკანტისთვის ერთნახევარჯერ მეტს შრომობს, ვინემ თავისთვის; ზედმეტი ღირებულება ერთნახევარჯერ მეტია, ვინემ მუშის ქირა, ანუ, როგორც ამბობენ, ზედმეტი ღირებულების ნორმა (ზომა) ერთი და ნახევარია—$150^0/_0$-ია *).

ამის შემდეგ, მგონი, არავისთვის არ არის დაფარული, რომ ყველა მოსაგების წყარო შრომა არ

---

*) ზედმეტი ღირებულების ნორმა—ეს ზედმეტი შრომის და აუცილებელი შრომის დამოკიდებულებაა. მაგალ., თუ მუშა ოთხ საათს კაპიტალისტისათვის მუშაობს და ოთხს თავისთვის, ე. ი. თუ მუქთი შრომა აუცილებელი შრომის ოდენია—მაშინ ზედმეტი ღირებულების ნორმა იქნება ერთი, ანუ $100^0/_0$; თუ თავისთვის ოთხ საათს მუშაობს და ხაზეინისთვის ორ საათს, მაშინ ნორმა იქნება ორი, ანუ 200 პროც.

არის. ჯერჯერობით ეს მაინც დანამდვილებით ვიცით, რომ ფაბრიკანტი სხვისი შრომით იძენს თავის სიმდიდრეს.

ახლა ისიც გავიგოთ, როგორ მდიდრდებიან ხელოსნები, მემამულენი, ჩინოვნიკები, ვაჭრები და სხვები. ვილაპარაკოთ ჯერ ხელოსნებზე.

თქვენ, ალბათ, იცით, რომ ჩვენში ფეხსაცმელს უმთავრესათ წვრილ სახელოსნოებში ამზადებენ, სადაც ქარგლები ქირაზე მუშაობენ, ხოლო შეგირდები მუქთათ. ხელოსანი მხოლოდ თვალყურს ადევნებს მათ მუშაობას. ხელოსანი რომ შეგირდებისაგან საკმაოდ დიდ ფულს იძენს, ეს დღეს ბალღმაც კარგათ იცის. ჩვენ ვლაპარაკობთ აქ ქარგლებზე, რომელნიც თავის შრომაში ქირას ღებულობენ. თქვენ ხომ იცით, რა ძნელია მეწაღის ხელობა. თხუთმეტ-თექვსმეტი საათის განმავლობაში უნდა იჯდეს ის დახუთულ, ბნელ ოთახში ერთ ალაგას მოკუნტული, რომ როგორმე ლუკმა პურის ფასი აიღოს. უფრო ხშირათ ის ნაჭრობით მუშაობს, თითო წყვილ ფეხსაცმელში ოთხ აბაზ ნახევარს აძლევენ (90 კაპ.). კარგ პირობებში ერთი ქარგალი თხუთმეტი საათის განმავლობაში ორ წყვილ ფეხსაცმელს შეკერავს, რისთვისაც ერთ მან. და ოთხ აბაზს მიიღებს. ახლა ვნახოთ, საიდან ღებულობს ცხოვრების სახსარს ხელოსანი?

ერთ წყვილ ფეხსაცმელებს მოუნდება ორი მან. და 10 კაპ. მასალა—ტყავი, რეზინა, ქუსლები და სხვ., წვრილმანები—ძაფი, სადგისი და ლურსმნები—10 კაპეიკის, ბინის—ათი კაპეიკი *), ქარგ-

*) ბინა, რასაკვირველია, გაცილებით მეტი ეღირება,

ლის შრომა ოთხი აბაზის და ნახევრის. ქარგალს რომ იმდენი მისცენ, რამდენიც ერგება, მაშინ ერთი ფეხსაცმელი ეღირება: მასალა ორი მანეთი და 55 კაპეიკი, ბინა—ორი შაური, ქარგლის შრომა—ოთხ აბაზ ნახევარი,—სულ სამი მანეთი და ცამეტი შაური. ხელოსანი კი წყვილს ხუთ მანეთათ ყიდის, ე. ი. მანეთი და შვიდი შაურით უფრო ძვირათ.

საიდან აიღო ხელოსანმა ეს მანეთი და შვიდი შაური? რასაკვირველია ის არ შეუქმნია არც ლურსმნებს და ტყავს, არც ქუსლებს და ბინას; მისი შემქმნელნი მუშებია.

ასე, ჩვენმა ქარგალმა ოთხ აბაზ ნახევარზე მანათი და შვიდი შაური შესძინა ხელოსანს, ეს არის მუქთი შრომა, ზედმეტი ღირებულება. მაშ მუქთი შრომა აქაც ერთნახევარჯერ მეტია აუცილებელ შრომაზე, ზედმეტი ღირებულების ნორმა ერთ ნახევარია, ანუ 150%. მუშა თხუთმეტი საათის შრომიდან მხოლოდ ექვს საათს ანდომებს თავის თავის, დანარჩენ ცხრა საათს ხელოსნისთვის მუშაობს და ამ უკანასკნელს ამდიდრებს.

ახლა ხომ ხედავთ, საიდგან დგება ხელოსნის მოსაგები. მისი საკუთარი შრომისაგან? ცხადია, არა. სწორედ ისე, როგორც ფაბრიკანტი, ხელოსანიც სხვისი შრომით, თავისი ქარგლების გაყვლეფით მდიდრდება.

V

ვაჭრები, ჩინოვნიკები, მემამულენი და სხვები, —ესენი ვილასი შრომით ცხოვრობენ?

Ваграм, სამაკიეროდ, ის დიღხანს სძღებს, იქ რამდენიმე ასი წყვილი შეიკერება და ამიტომ ერთ წყვილზე მოვა ცოტა, შაგ. 10 კ.

მომრითმინეთ და ამასაც გეტყვით. თუ გვინდა გავიგოთ, თუ როგორ ჩნდება მათი მოსაგები, ვისი შრომით სუქდებიან ისინი,—ავიღოთ მაგალითი.

ვთქვათ, ვინმე ფაბრიკანტმა 150 ათასი მანეთი დააბანდა რომელიმე საქმეზე. რა საქმე იქნება ეს, ჩვენთვის სულ ერთია, წარმოვიდგინოთ, რომ ეს შაქრის ქარხანაა. ჩვენი ფაბრიკანტი ყიდულობს მანქანებს, ჭარხალს, სხვა საჭირო მასალებს, ქირაობს მუშებს და წლის გასულს ას ოთხმოცდა თხუთმეტი ათასი მანეთის შაქარსა ყიდის. ასე რომ ფაბრიკანტი თავის 150 ათას მანეთზე 45 ათას მანეთს მოსაგებს ღებულობს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ეს 45 ათასი მანეთი მუშების მუქთი შრომით არის შექმნილი, ეს მუშების მიერ შექმნილი ზედ მეტი ღირებულებაა. ფაბრიკანტი დიდი სიამოვნებით ჩაიჩხრიალებდა მთელ ამ მოსაგებს: მართალია, ეს ფული მან მუქთად შეიძინა, მაგრამ მისი დათმობა ხუმრობა კი არაა. ფაბრიკანტის სამწუხაროთ, ზედმეტ ღირებულებაზე ბევრი ილესავს კბილებს. ყველას სურს, როგორმე თავისკენ გააქანოს ის და ჯიბეში ჩაიჩხრიალოს. ყველაზე უფრო ვაჭარს უჭირავს მისკენ თვალი. ფაბრიკანტი უვაჭროთ ვერ იხეირებს, თუ ვაჭარი არა, მას მაღაზიაში გამოულპება საქონელი, გამდიდრების მაგიერ სიმშილით ამოძვრება სული. მან ჯერ უნდა გაყიდოს საქონელი, ფულები აიღოს, და მხოლოდ შემდეგ შეუძლია თქვას—საქმე გავაკეთეო. მაშ ვაჭარია საჭირო, ფაბრიკანტმა ვაჭარი უნდა ეძიოს.

მოდის ვაჭარი. ის მზადაა ფაბრიკანტს უშველოს, მაგრამ ერთი აუცილებელი პარობით: მოსაგებიდან რამდენიმე პროცენტს თხოულობს.

ფაბრიკანტს, სხვა რა გზა აქვს—ვაჭრის წინადადებას ღებულობს; ყოველ მანათზე ათ კაპეიკს აძლევს. 45 ათას მანეთიდან მხოლოდ 40 ათას ხუთასი მანეთი რჩება. ფაბრიკანტის მოსაგებს მოაკლდა, იმისი ერთი ნაწილი ვაჭრის ჯიბეში გადავიდა. როგორ შეიძინა ვაჭარმა ეს მოსაგები? საკუთარი შრომით? რასაკვირველია, არა. იმის მოსაგები ფაბრიკანტის მოსაგების ნაწილია და როგორც ასეთი ზედმეტი ღირებულებიდანაა შემდგარი. ცხადია რომ ვაჭარიც მუქთი შრომით, ფაბრიკანტის მუშების ოფლით მდიდრდება. ვაჭარს უკან მემამულე მოსდევს. ჩვენი ფაბრიკანტის ფაბრიკა მემამულის მიწაზე ყოფილა აგებული. რასაკვირველია, ხან ისიც მოხდება, რომ ფაბრიკანტს საკუთარ მიწაზე უდგია ფაბრიკა, უფრო ხშირად კი სხვისაზე. მიწის პატრონი ამისთვის ქირას ითხოვს, ან როგორც იტყვიან, რენტას. რა გაეწყობა, ჩვენი ფაბუიკანტი იძულებულია ფული გადიხადოს, თუ უიმისოდ არ შეიძლება. და თავის მოსაგებიდან 3 ათას მანეთს მიწის პატრონს აძლევს (რენტა). საიდან აიღო მემამულემ ეს მოსაგები, რენტა? რასაკვირველია, ისევ ფაბრიკანტის მოსაგებისაგან, ე. ი. ფაბრიკანტის მუშების მიერ შექმნილი ზედ—მეტი ღირებულებისაგან *).

ჩვენ ფაბრიკანტს მხოლოდ ოცდა ჩვიდმეტი ათას ხუთასი მანეთი მოსაგები დარჩა. მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველა ეს ფულები ჯიბეში

*) ჩვენ აქ ისეთ მემამულეზე ვლაპარაკობთ, რომელიც თვითონ მეურნეობას არ მისდევს. ის მემამულე, რომელიც მეურნეობას მისდევს, პირდაპირ საკუთარი მუშების გაყვლეფით ირჩენს თავს.

ჩაიდოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ფაბრიკის აშენებაზე მან 150 ათასი მანეთი დახარჯა. ეს 150 ათასი შეიძლება მისი ყოფილიყოს, შეიძლება სხვისი. განა ცოტაა ისეთი მდიდრები, რომელნიც სხვას არას აკეთებენ გარდა იმისა, რომ ფულს აძლევენ სესხათ, რისთვისაც განსაზღვრულ სარგებელს ღებულობენ და თავის კაპიტალს ამრავლებენ. წარმოვიდგინოთ, რომ ერთი ასეთი ფულიანი კაცისაგან აღღია ვალი ჩვენ ფაბრიკანტს, სახელდობრ 150 ათასი მანეთი 6%-ად, ესე იგი; ყოველ ას მანეთში ექვსი მანეთი სარგებელი უნდა მისცეს. გამოდის, რომ ჩვენი ფაბრიკანტი 9 ათას მანეთს თავის მევალეს უთმობს, მას რჩება მხოლოდ 28 ათასი ხუთასი მანეთი. კაპიტალისტი კი 9 ათას მანათს იღებს სხვისი ჯიბიდან და გაურჯელად თავის ჯაბეში ილაგებს. ვისი ჯიბიდან იღებს ის ამ ფულს? ერთი შეხედვით გეგონებათ, რომ ფაბრიკანტის ჯიბიდან, მაგრამ ნამდვილად კი ესეც მუშების ნაოფლარია, მათი ზედმეტი ღირებულებიდანაა შემდგარი.

მაშ ფაბრიკანტს 28 ათას ხუთასი მანეთი რჩება, მაგრამ არც ეს ფულებია საკუთრად მისი. თავის ულუფას მთავრობაც თხოულობს.

ყველაზე მეტ გადასახადს მუშები, ღარიბი ხალხი იხდის, მაგრამ არც კაპიტალისტები და ფაბრიკანტები არიან თავისუფალნი. ჩვენი ფაბრიკანტიც თავის მოსაგების ერთ ნაწილს ხაზინას უთმობს. ის იხდის გადასახადის სახით, ვთქვათ, ხუთას მანეთს. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ გადასახადსაც მუშები იხდიან, რადგანაც ფაბრიკანტს საკუთარი არა გააჩნია რა, რაც აქვს, ყველაფერი მუშების შრომით

არის შექმნილი, ამიტომ, როცა ის გადასახადს იხდის, ეს მუშების შექმნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილია.

რაც დარჩება, აქედან შვიდას ორმოცდაათი მანეთი დირექტორს უნდა მისცეს ჯამაგირათ, ათას ხუთასი მანეთი დამზღვევ საზოგადოებას მიაქვს და ორი ათას ორას ორმოცდაათი სხვა ხარჯებს უნდება. რჩება 20 ათას ხუთასი მანეთი წმინდა მოსაგები, რომელიც ფაბრიკანტის სრულ განკარგულებაშია, ამ ფულს ის, რთგორც სურს, ისე მოიხმარს. ამის შემდეგ საზოგადოება მაინც იტყვის, რომ ეს ოცი ათას ხუთასი მანეთი ფიბრიკანტის «საკუთრებაა», ვითომ მან თავისი შრომით შეიძინა ეს ფულები.

VI

ახლა კი თამამათ შეიძლება ვუპასუხოთ იმ კითხვაზე, რომელიც წიგნის დასაწყისშია დაყენებული: რითი ცხოვრობენ ადამიანები? ვინ ცხოვროას თავისი შრომით და ვინ მდიდრდება სხვების გაყვლეფით. ახლა ჩვენ შეგვიძლია მთელი ხალხი სამ ჯგუფად გავყოთ. პირველ ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომელნიც თავისთვის შრომობენ—თავისი საკუთარი მარჯვენით ირჩენენ თავს. ესენი არიან ხელოსნები, რომელთაც საკუთარი იარაღები აქვთ და გლეხები, რომელთაც საყოფი მიწა აქვთ. მეორე ჯგუფს შეადგენენ მუშები, რომელნიც მოკლებულნი არიან საკუთარ საწარმოვო იარაღებს, და გლეხები, რომელთაც ან სულ არ მოეპოებათ მიწა ან ისე ცოტა აქვთ, რომ ეს მათ არ ყოფნის და ამიტომ იძულებულნი არიან თავისი თავი, თავისი სამუშაო ძალა

გაყიდონ. ამათ რიცხვში ურევიან ქარგლები, ფაბრიკის მუშები, მოჯამაგირეები და სხვ.

მესამე ჯგუფს ეკუთვნიან ისინი, ვისაც წარმოების საკუთარი იარაღები აქვთ, მაგრამ თვითონ კი არ მუშაობენ, სხვებს ამუშავებენ. ესენი არიან ხელოსნები, ფაბრიკანტები, მემამულეები და სხვ.

ჩვენ უკვე გავიცანით ჩვენი წიგნის პირველ ნაწილში დღევანდელი წესწყობილება: ერთი მუჭა ხალხი ქვეყანას ბრძანებლობს, თვითონ სხვისი შრომით მდიდრდება და მშრომელს პირში ჩალა გამოვლებულს სტოვებს. მაგრამ რატომ არის ეს ასე? იმიტომ რომ ხალხის დიდი უმრავლესობა თავისუფლებას მოკლებულია, ის იძულებულია თავის სამუშაო ძალა, თავისი თავი გაყიდოს, სხვებს მიექირაოს.

მაგრამ რა აიძულებს მას თავის თავის გაყიდვას? ის, რომ მას შრომის იარაღები არა აქვს. ვისაც შრომის იარაღები არა აქვს, იმან რა უნდა ქნას: არ გაყიდის თავის თავს და სიმშილით სული ამოძვრება. მაშ რა უნდა ვიღონოთ, რომ ეს უსამართლობა მოვსპოთ, რომ ერთი ფუფუნებაში არ ატარებდეს დროს და მეორე სიმშილით არ იხრჩობოდეს, რომ ქვეყნად თანასწორობა და სამართლიანობა დავამყაროთ? ამისთვის საჭიროა, რომ შრომის იარაღები ხალხს გადაეცეს. ხალხი მაშინ თავისთვის იშრომებს, ქირაზე მუშაობა მოისპობა, კაპიტალისტი ზედმეტ ღირებულებას ველარ ჩაიჯიბავს. ყველა იმუშავებს თავისთვის, არავინ არ იმუშავებს სხვისთვის. ადამიანის დაქირავება, იმისი ყიდვა შეუძლებელი გახდება.

მაშ საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ ყველას

საკუთარი იარაღები ქონდეს. კარგი და პატიოსანია, მეტყვით თქვენ, მაგრამ საქმეც ის არის, როგორ უნდა მოვაწყოთო.

როგორ მოვაწყოთ? აი როგორ: ჩამოვართვათ მათ, ვისაც ძალიან ბევრი აქვს და მშრომელ ხალხს გადავსცეთ.

ჩამოვართვათ! როგორ, განა ეს შესაძლებელია, მერე აქედან რამე გამოვა? ყოველ შემთხვევაში ეს ხომ უზნეობა იქნებაო, მეტყვიან.

მაშ ახლა ამ კითხვების განხილვას შევუდგეთ.

I.

ჯერ გავიგოთ, შესაძლებელია ეს, თუ არა? რა უნდა ვიღონოთ, რომ ყოველ ადამიანს, ყველა მშრომელს წარმოების იარაღი გადაეცეს?

არც ისე ადვილი გადასაწყვეტია ეს კითხვა, თუმცა პირველი შეხედვით ბევრს ეს უბრალო რამ გონია. მართლაც, ოდესმე ხომ არსებობდა ისეთი წყობილება, როცა ყოველ მუშას საკუთარი სახელოსნო ქონდა და თავისი ბატონ-პატრონი თვითონ იყო. ძველ დროში ეს ასე იყო. მაგრამ მაშინ ხალხიც ეხლანდელზე უფრო ცოტა ესახლა ქვეყანაზე. იმ ქალაქში, რომელშიც დღეს ოთხ მილიონზე მეტი მცხოვრებია, ორასი წლის წინეთ რაღაც ხუთასი ათასი მცხოვრები ითვლებოდა — ასეთია, მაგალითად, ლონდონი ინგლისში. იმ ქვეყანაში, სადაც ორასი-სამასი წლის წინ ორი მილიონი მცხოვრები ითვლებოდა, დღეს ათი მილიონი სცხოვრობს, სადაც წინეთ ათასი წყვილი წაღების მეტი არ იყო საჭირო, დღეს მილიონიც აღარ კმარა, სადაც წი-

ნეთ ერთი მილიონი არშინი ტილო იყო საკმაო, იქ დღეს ათი და ოცი მილიონი არშინი იხარჯება. მაშ ძველად, „ბედნიერ დროში“,—თუმცა არც ისე ბედნიერი იყო ის, რომ მისი მობრუნება ვინატროთ— ფეიქარი, რომელიც საკუთარ სახლში ქსოვდა ტილოს თავისი ცოლშვილის დახმარებით, აგრეთვე ზეინკალი, რომელიც თავის გასაღებებზე სახლში მუშაობდა, ბევრ ტილოს და გასაღებების დამზადებას ვერ შეიძლებდენ. მუშაობდენ ცოტას, რადგან მოთხოვნილებაც მცირე იყო; ფეიქარი უხეირო „სტანოკზე“ ქსოვდა, ზეინკალიც თავის გასაღებებს პირველყოფილი იარაღებით აკეთებდა.

ახლა ფეიქარმა უსათუოდ მანქანების შემწეობით უნდა იმუშაოს. მან რომ თავის ძველებურ იარაღს მიმართოს, ეს იმას ემგვანება—ვინმემ რომ ცხენი დაიქირაოს და ისე იმოგზაუროს იმ ადგილებში, სადაც უკვე რკინის გზაა გაყვანილი. მას სამი-ოთხი დღის სიარული დასჭირდება იქ, სადაც მხოლოდ საათია საკმაო.

ბევრი, ძლიერ ბევრი ნაწარმოებია ჩვენს დროში საჭირო. საჭიროა დიდრონი ფაბრიკები, ოთ· ლის მანქანები, უზარმაზარი მაღაზიები, რომ საკ· აო ნაწარმოები იქნას დამზადებული. ჩვენს დროში მარტო ინგლისში თითქმის ხუთასი ათასი კაცი მუშაობს ბამბეულობის ფაბრიკებში. თვითეულ მუშას რომ საკუთარი სახელოსნო ქონდეს, ე. ი. ყველა იმათგანი რომ დამოუკიდებლად მუშაობდეს, მაშინ ისინი იმის მეოცედსაც ვერ გააკეთებდენ, რასაც დღეს აკეთებენ. ყველგან გაძვირდებოდა ბამბეულობა და გლეხის ქალებიც კი ვერ აიტანდენ ასეთ ცხოვრებას. მაშ არც ისე სასურველი ყოფილა, რო

ყველას საკუთარი სახელოსნო, საკუთარი საწარმოვო იარაღები ქონდეს. მართალია, მაშინ მოისპობოდა დაქირავებული შრომა, ადამიანის დაჩაგვრა, მაგრამ სამაგიეროდ საჭირო ნივთები გაძვირდებოდა და ვინ იცის, იქნებ სიმშილიც კი გვწვევოდა. დიახ სიმშილი! ამაში თქვენ თვითონ დარწმუნდებით. დღეს ინგლისში სანთლით რომ ეძებოთ, მაინც ველარ შეხვდებით ისეთ მუშას, რომელსაც საკუთარი საწარმოვო იარაღები ქონდეს, მეტადრე მიწის მესაკუთრე გლეხებს. თქვენ შეხვდებით იქ მხოლოდ მსხვილ მემამულეთ, რომელნიც ფლობენ თვალ-უწვდენელ მინდორ-ტყეებს, რომელთაც ორთქლის გუთნები, სამკალ-სალეწი და სათესი მანქანები უდგიათ, რომელნიც თავის ადგილების დასამუშავებლად გლეხებს, სოფლის მუშებს ქირაობენ.

სოფლის მუშებს იქ არა გააჩნიათ რა: არც მიწები და იარაღები, ასე გასინჯეთ, ქოხებიც კი არა აქვთ. ისინი იძულებულნი არიან, თავისი თავი ბატონებს მიყიდონ, მათთვის იმუშაონ, ზედმეტი ღირებულებით გაამდიდრონ.

ერთობ მძიმე, თითქმის აუტანელია მათი მდგომარეობა. შიშის ჟრუანტელი გივლის ტანში, როცა ინგლისელ მემამულეთა გაუმაძღრობისა და შეუბრალებლობის ამბავს კითხულობ. მაგრამ როგორ გგონიათ, მთელი მიწა რომ დაანაწილოთ და თითო ნაჭერი ყველა გლეხს არგუნოთ, სასარგებლო იქნება ეს ინგლისის ხალხისათვის, თუ არა? პირიქით, მავნებელიც იქნება. 1875 წელს ინგლისის მცხოვრებლებს 22 მილიონი კვარტერი (კვარტერი თითქმის 31 გირვანქაა) ხორბალი სჭირდებოდა. ინგლისის მიდამოებზე 13 მილიონი კვარტერის მეტი არ მო-

დის, ასე რომ დანარჩენი ცხრა მილიონი საზღვარგარეთიდან უნდა შემოიტანონ. მიწა რომ წვრილ ნაჭრებათ დაიყოს, მაშინ შეუძლებელი იქნება მანქანების—ორთქლის გუთნების და სხვ. ხმარება, ასე რომ 13 მილიონის მაგიერ, ვინ იცის, 5—6 მილიონიც კი ველარ მოიყვანონ. ეს კი თითქმის სიმშილს გამოიწვევდა მთელ ინგლისში.

ახლა დარწმუნებული ხართ მგონი, რომ ჩვენ დროში შეუძლებელია ყველა მშრომელს საკუთარი საწარმოვო იარაღი მიეცეს.

მაშ რა უნდა ვქნათ? საკუთარი იარაღების უქონლობა ცუდია, რადგან იძულებული ხდები თავისი თავი გაყიდო, თვითონ სიმშილით მოკვდე და სხვები გაამდიდრო, შეიძენ და კიდევ უარესია, რადგან მაშინ საერთო უბედურება გამეფდება. მაშ როგორ ვუშველოთ საქმეს?

აი როგორ: ჯერ ერთი ვიკითხოთ, რატომ შემდეგშიაც არ შეიძლება ისე მოვაწყოთ საქმე, როგორც ეს დღეს არის? სადაც მუშები ერთად მუშაობენ დიდ ფაბრიკებში თუ მსხვილ მამულებზე—დეე ისინი ისევ იქ დარჩენ. მაგრამ ნურავინ იტყვის ეს ფაბრიკა მე მეკუთვნის, ეს მიწა ჩემიაო. ყველა ესენი მუშებს გადაეცეს, მისაკუთრებას ნურავინ გაბედავს. ეს იქნება ფაბრიკა-ზავოდების გასაზოგადოებრივება, სახელმწიფო კუთვნილებაში გადასვლა *). დეე, ყველამ ერთად იმუშაოს, მაგრამ ფაბრიკანტების და მემამულეების სასარგებლოთ კი არა, მთელი ხალხისათვის. მაშინ მუშები იმდენ ნაწარმოებს მოამზადებენ, რამდენსაც ეხლა, თუ მეტს არა. ყველას

*) მაშინ სახელმწიფოც ეხლანდელს არ ემგვანება.

ეკოდინება, რომ თავისი ამხანაგებისათვის მუშაობს, და არა მუქთახორებისათვის, ახლანდელზე მეტი შრომაც რომ დასჭირდეს, ის მაინც არ დაემდურება ბედს, რადგან ეკოდინება, რომ მისი შრომა ერთი მუჭა ხალხის სასარგებლოდ კი არ მიდის, არამედ მთელი ხალხის კეთილდღეობას ხმარდება.

მაშ მუშებს მხოლოდ კერძო საკუთრების მოსპობა, მთელი ადგილ-მამულის და ფაბრიკა-ზავოდების საზოგადო კუთვნილებად გადაქცევა უშველის.

II.

ახლა ვიკითხოთ, შეიძლება თუ არა ამის განხორციელება? მოსახერხებელია თუ არა საწარმოო იარაღების საზოგადო კუთვნილებად გადაქცევა? შესაძლებელია თუ არა, ყველა თავისი ბატონ-პატრონი თვითონ შეიქნეს? ყველგან და თითქმის ყოველთვის არსებობდა სიმდიდრე-სიღარიბე, ყველგან არსებობდა დამონებული უმრავლესობა და გაბატონებული უმცირესობა. ყოველთვის არსებობდენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთ წყობილებას ებრძოდენ, მაგრამ აქიდან არა გამოდიოდა რა: მდიდრები არხეინად განაგრძობდენ მდიდრულ ცხოვრებას, ღარიბებს სისაწყლეში სული ამოსდიოდათ.

და განა ჩვენ დროში ღარიბების რიცხვი თანდათან არ მატულობს, გაჭირვება მუშათა შორის უფრო და უფრო არ იზრდება?

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ამან იმედი არ უნდა დაგვიკარგოს; პირიქით ეს გარემოება გვიმტკიცებს ჩვენ, რომ სასურველი მომავალი მოახლოებულია. აი რაშია საქმე.

ლარიბების რიცხვი, რომელთაც არავითარი საკუთრება არ აბადია, თანდათან მატულობს და შემდეგშიაც იმატებს. არსებულ წესწყობილებაში არავითარ ძალას ამის შეჩერება არ შეუძლია. ხელოსანი, რომელსაც თავისი საქონელი გამოაქვს გასაყიდათ ბაზარზე, დაინტერესებულია, რაც შეიძლება, მეტი აიღოს; აქ საკვირველი არაფერია: იმან თავისი ძალ-ღონე შეალია მისს მომზმდებას. მაგრამ რა გამოვიდა მისი მუყაითობისაგან? ფაბრიკანტმა, რომელმაც იგივე საქონელი ფაბრიკაში დაამზადა, გაცილებით ნაკლები შრომა მოახმარა მის გაკეთებას. მაგალითად, თუ ზეინკალი ერთ საათს ანდომებს ერთი ბოქლომის გაკეთებას, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფაბრიკაში მის გაკეთებას ერთი საათიც არ დასჭირდება. ზეინკალი ექვს შაურს მოითხოვს თავის ბოქლომში (თუ საათის შრომა ორი შაური ღირს), ფაბრიკანტი მას ორ შაურად გაყიდის. ცხადია, ბოქლომს ყველა ფაბრიკანტისაგან იყიდის და ჩვენი ზეინკალი იძულებული გახდება, სახელოსნო გაყიდოს და ფაბრიკანტის კალთებს შეაფაროს თავი, ე. ი. დაქირავებულ მუშად იქცეს, გაპროლეტარდეს.

რაც ზეინკალზე ვთქვით, იგივე უნდა ვთქვათ სხვა ხელოსნებზედაც: მანქანების მეტოქეობას ისინი ვერ გაუძლებენ და, ადრე იქნება თუ გვიან, დაქირავებულ მუშათა ბანაკში ამოყოფენ თავს. ასე თანდათან კარგავს ხალხის დიდი უმრავლესობა თავისუფლებას და დამოუკიდებლობას და დამქირავებელთა ბრჭყალებში ვარდება. ასეთ უბედურებას როგორმე კიდევ აიტანდა მუშა, რომ ერთგვარი სამუშაო ქირით მაინც იყოს უზრუნველყოფილი. მაგ-

რამ ეს ასე არ არის: სამუშაო ქირა მუდამ რყევა-შია, საჭირო ნაწარმოების ფასთან შედარებით, ის თანდათან კლებულობს.

ავხსნათ ეს უფრო ნათლად. გავიხსენოთ, საიდან ჩნდება კაპიტალისტის მოსაგები: ის ისაკუთრებს მუშის მიერ შექმნილ ზედმეტ ღირებულებას, მუშა იძულებულია ნახევარი დღე თავისთვის იშრომოს და ნახევარი ხაზეინის სასარგებლოდ. როცა ფაბრიკანტი, მაგალ., მუშას დღიურად ოთხ აბაზ ნახევარს აძლევს, ეს იმას ნიშნავს, მუშას 90 კაპ. სჭირია საცხოვრებლად (საზრდო, ტანისამოსი, ბინა). მუშა ექვსი საათის განმავლობაში უკვე შექმნის 90 კაპ. საღირალს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც მას ფაბრიკანტი აძლევს, დანარჩენ ექვს საათს ის მუქთად მუშაობს, ამ დროს განმავლობაში ფაბრიკანტი მას ქირას არ აძლევს. თუ ერთის მაგიერ ოცი მუშა იქნება და წელიწადში 333 სამუშაო დღეს ვიანგარიშებთ, მაშინ ხაზეინი ექვსი ათას მანეთს მოსაგებს შეიძენს. თავისთავად იგულისხმება, რომ, რაც მეტი იქნება მუქთი ან ზედმეტი დრო, მით მეტი იქნება ხაზეინის მოსაგები. ასე რომ, თუ ზედმეტი დრო ექვსი საათის მაგიერ, რვა საათი იქნება, მაშინ ხაზეინიც ექვსი ათასის მაგიერ, შვიდი ათას ორას მანეთს მოიგებს.

ჩვენ დროში ეს პირდაპირ აგრე ხდება,—მუშები იძულებულნი არიან თავისი შრომის უმეტესი ნაწილი ხაზეინებს დაუთმონ.

როგორ ხდება ეს? სულ უბრალოდ. რატომ ჩვენ მაგალითში მუშა ოთხაბაზ ნახევარს იღებს დღიურ ქირას? იმიტომ, რომ მისი სამუშაო ძალის აღსადგენად, მის საცხოვრებლადაა ამდენი საჭირო.

ექვს საათს მუშა ამ ქირისთვის მუშაობს, ექვს საათს ხაზეინისთვის.

გარემოება რომ შეიცვალოს და მუშას ექვსი საათის შრომის ნაცვლად ოთხი საათის შრომა ეყოს, მაშინ იმისი ქირა 90 კაპ. ნაცვლად სამოცი კაპეიკი გახდება. ამ შემთხვევაში მუშა ოთხ საათს თავისთვის იმუშავებდა და რვა საათს ხაზეინისთვის, რვა საათში შექმნილ ზედმეტ ღირებულებას ხაზეინი ჩაიჯიბავდა.

სინამდვილეშიაც სწორედ ეს ხდება. რაც უფრო აუმჯობესებენ მანქანებს, მით უფრო ადვილდება ნაწარმოების დამზადება, მოკლდება ის დრო, რომელიც მუშის საცხოვრებლადაა საჭირო. წინეთ ერთი პერანგის მომზადებას ორი-სამი დღის შრომა უნდოდა, ახლა ერთი დღის შრომაც აღარ მოუნდება. წინეთ ერთი სერთუკის შესაკერად ათი დღის შრომა იყო საჭირო, ახლა სამი დღისაც საკმაოა.

მაშ ჩვენ დროში მუშას იმდენი მუშაობა აღარ სჭირდება, რამდენიც წინეთ სჭირდებოდა თავის დასარჩენად. წინეთ ის ექვს საათს მუშაობდა, ახლა ოთხი საათი ყოფნის. მაგრამ ამ ცვლილებას მისთვის სარგებლობა არ მოუტანია. წინეთ, თორმეტი საათის სამუშაო დღეში, ის ექვს საათს თავისთვის მუშაობდა და ექვს ხაზეინისთვის; ახლა მას თავისთვის ოთხი საათი ყოფნის, ხაზეინისთვის, მაშ, რვა საათი უნდა იმუშაოს. მუშა, როგორც წინეთ, ახლაც თორმეტ საათს მუშაობს დღეში. მანქანების გაუმჯობესებამ, მას ვერ უშველა. წინეთ მუშა ექვს საათს თავისთვის მუშაობდა, ექვს ხაზეინისთვის, ე. ი. რამდენსაც თავისთვის, იმდენს სხვისთვის; ზედმეტი ღირებულების ნორმა იყო ერთი (ერთი ერ-

თზე), ანუ 100%; ახლა რვა საათს ხაზეინისათვის მუშაობს, ოთხს—თავისთვის, ზედმეტი ღირებულების ნორმა უდრის ორს, ანუ 200%. შრომის ყველა დარგში მანქანები შემოაქვთ, რაც შრომას ანაყოფიერებს. ამიტომ აუცილებელი დრო თანდათან კლებულობს, ზედმეტი დრო კი მატულობს, ე. ი. მატულობს ზედმეტი ღირებულების ნორმა, იზრდება ექსპლუატაცია.

ახლა ხომ ხედავთ, რატომ მდიდრდებიან ხაზეინები და ღარიბდებიან მუშები?

ეს ვერაფერი სასიამოვნო ამბავიაო,—მეტყვით თქვენ. თუ ეს ასეა, რიღასი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მდგომარეობა გაუმჯობესდება?

„ზოგი ჭირიც მარგებელიაო“,—ამბობს ხალხური ანდაზა. ზედმეტი ღირებულების ნორმის ზრდაც კარგია ერთი მხრით. კარგია იმიტომ, რომ, რაც ხანი გადის, მით ნაკლები შრომაა საჭირო დღეს, როცა გაუმჯობესებული მანქანებით მარტო ხაზეინი სარგებლობს, შრომის გაადვილებას მუშისთვის სარგებლობა არ მოაქვს, მაგრამ შემდეგში ეს მისთვის ძლიერ კარგი იქნება.

ამას გარდა კიდევ უნდა გითხრათ ერთი რამ, რაზედაც აქამდი კიდევ არ მილაპარაკნია. როგორ ფიქრობთ, ყველა ფაბრიკანტი მდიდრდება? არა, ეს შეუძლებელია. ყველა იმათგანი სხვის გაკოტრებას ცდილობს. ყველანი ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტი საქონელი გაყიდონ, თანაც იაფად დაიჯდინონ, რადგან მუშტარი იმის საქონელს გაასაღებს, ვინც უფრო იაფად დაუთმობს. მათდა საუბედუროთ ბაზარი მათ საქონელს ვეღარ იტევს, საქონლის რაოდენობა სჭარბობს მის მოთხოვნილებას, ეს კი

ბევრს აჩანაგებს. მხოლოდ ძალიან მდიდრებს შეუ-ძლიათ ლოდინი, სანამ ნაწარმოები გაიყიდებოდეს, წვრილები ამას ვერ ახერხებენ, კოტრდებიან და თავის მუშებსაც ღვთის ანაბარათ სტოვებენ. ასეთი მოვლენა თითქმის ყოველ რვა-ათ წელიწადში მეორ-დება, ყოველ რვა-ათ წელიწადში კოტრდება მრა-ვალი წვრილი ფაბრიკანტი, ეს ამრავლებს საკუთ-რებას მოკლებულთა რიცხვს, ხოლო მდიდრების სიმდიდრეს კიდევ უფრო აფართოვებს.

რა დასკვნა გამოდის აქედან? აი რა: ფაბრი-კანტების და საზოგადოდ მდიდარი ხალხის რიცხვი კლებულობს, ღარიბების, მუშების რიცხვი—მა-ტულობს, სიმდიდრე იზრდება, მაგრამ უმცირესობის ხელში იყრის თავს, შრომა ადვილდება, მაგრამ მუ-შების ბედი უკულმა მიდის, მათი სიღარიბე კიდევ უფრო მწვავდება.

მუშები ხედავენ, რომ ფაბრიკანტების რიცხვს აკლდება, ხოლო მათ სიმდიდრეს ემატება, მათი ძა-ლა ეცემა, ხოლო მათი სიმდიდრე მატულობს. ამავე დროს მუშების ძალა იზრდება, ისინი თანდათან ერთ ჭერ ქვეშ იყრიან თავს, ერთად შრომის სარ-გებლობას ხედავენ. მათი თვითცნობიერება მატუ-ლობს. ისინი აშკარად ხედვენ დღევანდელ წეს-წყობილების სიდუხჭირეს, ხედვენ, რომ ფაბრიკანტი, თუმც არაფერს აკეთებს, მაგრამ მთელ სიმდიდრეს თვითონ ეპატრონება. ამასთანავე მუშები ეჩვევიან თანხმობით მოქმედებას, ერთმანეთის მხარის დაჭე-რას, ვინაიდან კარგათ გრძნობენ, რომ მათ ერთი მტერი ყავთ, ეს მტერია ის, ვინც მათი ოფლით სუქდება, და ამის დასამარცხებლად ყველა მუშის შეერთებაა საჭირო.

საკვირველი არ არის, რომ მუშას ასეთი აზრი დაებადოს: რად ვმუშაობთ ამდენი ხალხი ერთის სასარგებლოდ, ჩვენ ბევრნი ვართ, ის კი ერთია, ჩვენ ვშრომობთ, ნაწარმოებს კი ის იტაცებს. ფაბრიკები რომ ჩვენ ხელში იყოს, მაშინ სხვანაირად წავიდოდა ჩვენი საქმე: მაშინ ჩვენთვის მოსაგები საჭირო არ იქნებოდა, იმდენს ვიშრომებდით, რომ გვეცხოვრნა. ჩვენ მაშინ მთელ ხალხს მოვუტანდით სარგებლობას ის კი მხოლოდ თავისთავზე ზრუნავს და მთელ ხალხს განსაცდელში აგდებს. რატომ არ უნდა შეევრთდეთ ყველა მუშები, რომ ხაზეინებს ფაბრიკები და მანქანები ჩამოვართვათ.

მერე სამართლიანი იქნება ასეთი მოქმედება?

შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვისო, ნათქვამია. ადამიანის დანიშნულება ის ხომ არ არის, რომ რაც შეიძლება, მეტი ნაწარმოები დაამზადოს, საქმე ის არის, რომ ხალხმა ადამიანურად მოაწყოს თავისი ცხოვრება. მუშები ქმნიან ყველაფერს და მათი ნაშრომი მათვე უნდა მოხმარდეს, ეს კი ისე არ შეიძლება, თუ საწარმოო იარაღები მუშა ხალხის ხელში არ გადავიდა.

III

კიდევ დაგვრჩა ერთი ძნელი კითხვა. როგორ ჩამოვართვათ მუქთახორებს საწარმოო იარაღები, რა გზით მივაღწევთ ამ მიზანს?

ეს კი თქვენი, მუშების საქმეა, ამაზე თქვენ თვითონ უნდა დაფიქრდეთ. ძველ დროში, როცა ქვეყანას მტერი მოადგებოდა და მისი განდევნა საჭირო იყო, მაშინ თქვენ, მუშებს მოგმართავენ და

თქვენც ეტყოდით ხოლმე: „ჩვენ მზადა ვართ სამშობლო განვანთავისუფლოთ, მტერი განვდევნოთ, მაგრამ როგორ მოვიქცეთ?»ო

ახლა საქმე თვითონ თქვენ, თქვენს ოჯახს, თქვენს ძმებს ეხება, და თქვენც მოვალენი ხართ საკუთარ საქმეს თვითონ უპატრონოთ.

დამატება.

ამა თუ იმ ნაწარმოების ღირებულება განისაზღვრება იმ დროის რაოდენობით, რომელიც მის გაკეთებაზეა დახარჯული. ყველა მეცნიერი ამის თანახმაა. მაგრამ ვინც მეცნიერებას არ იცნობს, ის, შეიძლება, შეცდომაში შევიდეს: მართლაც, შეიძლება იფიქროს იმან, თუ ღირებულება დროის რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშინ უვიცი და გამოუცდელი მეწაღე მეტ ფულს აიღებს თავის წაღებში, ვინემ გამოცდილი და საქმის მცოდნე, რადგან ის მეტ დროს მოანდომებს წაღების შეკერვას. მაგრამ ეს ასე არ არის. მეცნიერებას სახეში არა აქვს იმ დროის რაოდენობა, რომელიც მუშის უვიცობასა და იარაღის უვარგისობაზეა დამყარებული. ასეთი დრო უსარგებლოდ დახარჯულად უნდა ჩაითვალოს, მას მნიშვნელობა არა აქვს. მეცნიერებას სახეში აქვს ის დრო, ურომლისოდაც წარმოება შეუძლებელია. არც ეს დრო არის მუდამ ერთგვარი. ყველამ იცის, რომ მანქანით უფრო ჩქარა შეიძლება კერვა, ვინემ ნემსით. საკერავ მანქანის შემოღებამდე აუცილებელ დროდ ითვლებოდა საშუალო შრომა (არც ძლიერ ჩქარი და არც ძლიერ ნელი), რომელიც ნემსით კერვას სჭირდებოდა. მას შემდეგ რაც საკერავი მანქა-

ნები შემოიღეს, შრომა განაყოფიერდა, ასე რომ, წინანდელთან შედარებით, აუცილებელ დროის რაოდენობა შემოკლდა. თუ, მიუხედავად ამისა, მკერავი მაინც ნემსით მოინდომებს კერვას, ის მანქანით მკერავთან შედარებით გაცილებით მეტ ხანს მოუნდება თავის სამუშაოს გაკეთებას, ასე რომ მისი შრომის ერთი ნაწილი უსარგებლოდ ჩაივლის, აუცილებელი არ იქნება. რომელია ეს ნაწილი? აი რომელი: წარმოვიდგინოთ, რომ მანქანით სამჯერ უფრო ჩქარა შეიძლება, მაგალითად, პერანგის შეკერვა, ვინემ ნემსით. ამ შემთხვევაში ნემსით მკერავის შრომის ერთი მესამედია აუცილებელი. ვთქვათ, ერთი პერანგის შეკერვას ექვსი საათის შრომა სჭირდება, მაშინ იმავე პერანგის შეკერვას მანქანით ორი საათი ეყოფა. ამ შემთხვევაში პირველი მკერავის ექვსი საათის შრომა მეორე მკერავის ორი საათის შრომას უდრის. ამიტომაა, რომ მანქანების შემოღება ყოველთვის აღატაკებს იმ ხელოსნებს, რომელთაც მანქანების შეძენა არ შეუძლიათ. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. ჩემი შრომა არ ჩაითვლება აუცილებელ შრომად, თუ ჩემ მიერ მომზადებული ნაწარმოები საზოგადოებას არ ესაჭიროება, ან, როგორც მეცნიერები ამბობენ, თუ ამ ნაწარმოების მოთხოვნილება არ არსებობს. მაგალითისთვის ავიღოთ ფეიქრის ხელობა. ტილო და სხვა მატერიები, რასაკვირველია, ყველას ესაჭიროება, ველურებს გარდა, რა თქმა უნდა. ამიტომ ტილოს მოთხოვნილება ყოველთვის არსებობს, ფეიქრის შრომა საჭირო შრომაა. მაგრამ თავი და თავი აქაც ის არის, მანქანებზე მუშაობს ფეიქარი, თუ უბრალო იარაღით. ჩვენ დროში ფეიქრის აუცილებელ შრომად ითვლება ის შრომა, რომელიც მანქანით ქსო-

ვის დროს არის საჭირო. ის მეტი შრომა, რომელიც უბრალო იარაღით მუშაობის დროს იხარჯება, უსარგებლოა. ამიტომაა, რომ ჩვენი ფეიქრები — „კუსტარები“ ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან.

მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ ათი ათასი არშინი ტილოს ნაცვლად, რომელიც საჭირო იყო, ოცი ათასი არშინი დაამზადეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ტილოს რაოდენობა ორჯერ სჭარბობს მის მოთხოვნილებას და ამიტომ დახარჯული შრომის ნახევარი საჭირო არ არის. თუ ხაზეინებმა ყველა ტილოს გაყიდვა ერთ დროს მოინდომეს, მაშინ ტილოს ფასი უსათუოდ დაეცემა, ხაზეინები დაინახავენ, რომ მათ მიერ დახარჯული შრომის ნახევარი საზოგადოებისათვის საჭირო არ არის. თუ ხაზეინების ერთმა ნაწილმა დაასწრო მეორე ნაწილს და თავისი საქონელი ბაზარზე გაიტანა, მაშინ, შეიძლება, სრული ფასი აიღონ, მაგრამ გვიან მოსულები სრულიად ველარ გაასაღებენ თავის საქონელს, რადგანაც ტილოს მოთხოვნილება აღარ იქნება, ამ ტილოზე დახარჯული შრომა საჭირო, აუცილებელი შრომა აღარ იქნება. თუ ყველა ხაზეინები ერთ დროს გამოვიდენ ბაზარზე, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან ფასები დაუკლონ, რომ როგორმე მუშტარი თავისკენ მიიზიდონ. ამის შემდეგ მუშტრების რიცხვი გამრავლდება: წინეთ, როცა ტილო სრულ ფასში იყიდებოდა, ბევრს არ შეეძლო, სიღარიბის გამო, ტილოს შეძენა, ახლა კი, როცა ტილო დაკლებულ ფასებში იყიდება, ბევრს გაუადვილდება მისი შეძენა. ბევრი შემთხვევით ისარგებლებს და ტილოს საჭიროზე მეტს იყიდის, რა ენაღვლება, შემდეგშიაც გამოადგება. თუ ასე მოიქცევიან ხაზეინები,

ცოტა რამეს კიდევ აიღებენ, მაგრამ რომ არ იზარალონ, ეს შეუძლებელია.

მაგრამ ვინ მოისურვებს უსარგებლოდ საქმის განგრძობას? როცა ნახვენ, რომ ტილოს ფასი დაეკარგა, მის წარმოებას ან შეაჩერებენ, ან შეამოკლებენ მაინც. ტილოს რაოდენობა იკლებს და ეს ფასების აწევაზე იმოქმედებს. თუ ამ შემთხვევაში ტილოს რაოდენობა მის მოთხოვნილებას არ დაშორდება, დახარჯული შრომა საჭირო, აუცილებელ შრომად ჩაითვლება. მაგრამ თუ ტილოს რაოდენობამ იმდენად იკლო, რომ მოთხოვნილება სჭარბობს, მაშინ ტილოს ფასი აიწევს და ხაზეინებიც ახლა მეტს აიღებენ, წასაგების მაგიერ მოსაგებს ნახვენ. მაგრამ მოსაგებს ყველა ეტანება, ხაზეინები ტილოს წარმოებას მიაწყდებიან, ბოლოს ნაწარმოები ბაზარზე გამოაქვთ და... აქაც წინანდელი ისტორია მეორდება: ტილო ბევრია, მყიდველი ცოტა, ე. ი. ტილოს რაოდენობა სჭარბობს მის მოთხოვნილებას, ეს იწვევს ტილოს ფასის დაცემას და სხვ.

სწორედ ფასების ასეთი ცვლილება იწვევს იმ გარემოებას, რომ საქონლის ღირებულება დამოკიდებულია მასზე დახარჯულ დროის აუცილებელ რაოდენობაზე, თუ, რასაკვირველია, სახეში მივიღებთ რამდენიმე წელიწადს და რამდენიმე შემთხვევას, და არა ერთ წელიწადს და ერთს შემთხვევას.

საჭიროა ისიც ვიცოდეთ, რომ აუცილებელ შრომის რაოდენობა არ განისაზღვრება ერთის რომელისამე ხელობის მუშების შრომის რაოდენობით. ასე, მაგალ., ბოქლომი მარტო ზეინკლის შრომას როდი შეიცავს, არამედ მადნის მუშების, რკინის გადამდნობის, გიდამტანის და სხვა მუშების შრომას.

ყველა ამათ მოამზადეს ბოქლომისთვის საჭირო მასალა, ზეინკალმა ეს მასალა გადააკეთა და ბოქლომი გამოვიდა. ამიტომ, როცა ბოქლომის ღირებულება გვინდა გავიგოთ, სახეში უნდა ვიქონიოთ ყველა ამ მუშების შეერთებული შრომა.

აგრეთვე, როცა ვადარებთ მანქანით მკერავისა და ნემსით მკერავის შრომას, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას:

თვით საკერავ მანქანაზე შრომაა დახარჯული, ამიტომ მანქანასაც შესაფერი ღირებულება აქვს. კერვის დროს ეს მანქანა ცვდება, მის ღირებულებას აკლდება, ნახმარი მანქანა ახალზე ნაკლებადა ღირს. ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც მანქანა კარგავს, ნაწარმოების ღირებულებაში გადადის, ასე რომ მანქანით შეკერილ პერანგის ღირებულებაში მანქანის ოსტატის შრომაც ურევია. ამიტომ სრული სიმართლე არ იყო, როცა ვთქვით, რომ ნემსით მომუშავე მკერავის ექვსი საათი მანქანით მომუშავის ორ საათს უდრისო. ნემსით მომუშავის ექვსი საათის შრომასთან ერთად ნაწარმოებს არაფერი ემატება; ხოლო მანქანით მომუშავის ორი საათის ღირებულებას უნდა დაემატოს კიდევ შრომის ის ნაწილი, რომელიც მანქანის გაკეთებაზე დახარჯულა. ასე რომ, ნემსით მომუშავის ექვსი საათის შრომა უდრის არა მარტო ორ საათს, არამედ ორ საათს და თხუთმეტ წუთს, ან ორ საათს და ნახევარს.

თავისთავად იგულისხმება, რომ ასეთი უმნიშვნელო განსხვავება ვერ იხსნის სიღატაკისაგან იმ ხელოსანს, რომელიც მანქანის უქონლობამ წელში გასტეხა.

დასასრული.

ვ. ვადილიას წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

ა. წულუკიძე. ნაწვტები პოლიტიკური ეკონომიიდან. . . . . 50 კ.
ბ. კაუტკი. ისტორიულ-კონომიური ნარკვევი საფრანგეთის წარსულიდან . . . . . 20 კ.
გ. მარკსი. ვაჭრობის თავისუფლება . . . . 10 კ.
მ. კოვალევსკი. ოჯახის და საკუთრების წარმოშობა-განვითარება წ. 1. . . . . 20 კ.
ე. ბელლაში. ასის წლის შემდეგ (სოციალოგიური რომანი) . . . . . 60 კ.
ვ. ტისანდე. მეცნიერებისათვის წამებულნი 48 სურათით . . . . . 1 მ.—
მიჟუევი. თანამედროვე ქვეყნიერების მოწინავე კუთხე ინგლისის ახალშენი . . . . . 60 კ.
ბოკლი. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლის სურათით . . . . . 50 კ.
ე. ფერიერი- დარვინიზმი, ორ წიგნად . . . 35 კ.
ქ-ნ შტარი. ჩვენს ქალებს . . . . . 20 კ.
ნ. რაიჭესბერგი. მუშათა კითხვა წარსულში და აწმყოში . . . . . 15 კ.
ვ. ლუნკევიჩი. მწვანე სამეფო (სურათებით) . 20 კ.
ფ. კონი. უჯრათა სამეფო . . . . . 10 კ.
სმაილსი. თვითმოქმედება . . . . . 15 კ.
მისივე. თვით-განვითარება. . . . . 15 კ.

მ. ლუკმა-პურის ამბავი, აღწერა კაცისა და ცხოველებისა . . . . . 40 ბ.
ბ. წერეთელი. საუკეთესო ცოდნა . . . . 20 ბ.
ვ. ჩიუკო. რომ. „ოთხმოც და ცამეტიდამ“. 10 ბ.
გიორგი ვაშინგტონი (ამერიკის განმათავისუფლებელი) . . . . . 20 ბ.
დ. ხვოლსონი. ხმარობენ თუ არა ურიები ქრისტიანების სისხლსა? . . . . . 10 ბ.
ვოლტერი. უმანკო (მოთხრობა) . . . . 30 ბ.
პრუდონი. უცხოეთის მწერალი . . . . . 20 ბ.
მ. გორკი. მოთხრობები, წიგნი პირველი, კარგს ქადაღდზე . . . . . 70 ბ.
ფ. მახარაძე. ხალხური პოეზია და ბ-ნი მ. კელენჯერიძე, კრიტიკული წერილი . . . 20 ბ.
მისივე. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო . . 40 ბ.
ივ. გომართელი. შილლერის პოეზიის ძირითადი თვისებანი . . . . . 20 ბ.
დ. ჭონქაძე. სურამის ციხე . . . . . 15 ბ.
ე. ნინოშვილი. სრული თხზულება ივ. გომართლის კრიტ. წერილი . . . . . 1 50 ბ.
ს. მესხი. თხ'ზულებანი, პირველი ტომი . 1 —
ლ. ანდრეევი. წითელი სიცილი . . . . . 40 ბ.
ლ. ტოლსტოი. ადგომა . . . . . 1 20 ბ.
შ. რუსთაველი. ვეფხის ტყაოსანი 4 პატრეტით და 21 სურათით . . . . . 60 ბ.
ექიმი გაზა. ბედკრულთა მეგობარი . . 5 ბ.
თ. ჭანრი ჭექსლი. ორგანიული ბუნების მოვლენათა მიზეზები სურათებით . . . . 25 ბ.
ჩარლზ პარნელი (ბიოგრაფია) . . . . . 25 ბ.
ლ. კლდიაშვილი. მოთხრობანი . . . . . 30 ბ.
ბ. სურგულაძე. ერთვნული ენა . . . . . 15 ბ.

ი. ბელოკონსკი. ერობა და თვით-მართველობა. 10 კ.
დ. დეფო. რობინზონ კრუზე . . . . . 30 კ.
დ. კარიჭაშვილი. წიგნის ისტორია . . . . 20 კ.
ჰენრიკ სენკევიჩი. ბარტექ ძლევამოსილი . . 20 კ.
ნ. რუბაკინი. ამბავი ცხოველთა სამეფოსი სურათებით . . . . . 50 კ.
ს. ივანოვი. ცადა დედამიწა . . . . . 20 კ.
ჰოლბერი. ბუნების ცოდნა . . . . . 25 კ.
ბულიგერის მოგზაურობა სურათებით . . . 30 კ.
ბუნების მოვლენანი . . . . . 15 კ.
ამაიის მნათობი ინდოელების თქმულება . . 10 კ.
ს. ურბანოკსკი. თავადის ქალი შრომა და ფუფუნება . . . . . 60 კ.
ჯიოვანიოლი. სპარტაკი ისტორიული რომანი. 60 კ.

წიგნის მაღაზიის ადრესი თფილისი კიროჩნი ქუჩა № 7
Адресъ: Тифлисъ кироч. ул. № 7

8/11-330

33
№ 479

3. გადილიას წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემანი:

1) სამი სიტყვა ანუ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა-ერთობა ივ. მაჭავარიანისა . . 5 კაპ.

2) როგორ უნდა მოხდეს სალხის წარმომადგენლების არჩევნები? ა. ლომთათიძისა . . 4 კაპ.

3) ლუკმა პურის ამბავი, ანუ ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან, დიკშტეინისა თარგ. კ. ნინიძისა . . . . . 6 კაპ.

იბეჭდება და ჩქარა გამოვა:

ა. ბებელის თხზულება „დედაკაცი“.

ა. არნუს „თავისუფლებისათვის მებრძოლნი“.

მაღაზიაში მოიპოვება მრავალი სადღეისო წიგნები დაბეჭდილი რუსულ და ქართულ ენებზე, აგრეთვე წიგნის მაღაზია კისრულობს პროვინციებში მცხოვრებთათვის ფასდადებით წიგნების გაგზავნას.

ვღებულობთ საკომისიოდ გინდ ნადდ ფულზე პოლიტიკურ ეკონომიურ შინაარსის და სხვ. წიგნებს.

წიგნის მაღაზიის ადრესი. თფილისი კიროჩნი ქ. № 7.
Тифлисъ Кирочная ул. № 7.